



სწავლის გადასახადის მართვის პოლიტიკა

პრეამბულა

ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის (შემდგომში „სკოლა“) დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენს სწავლის გადასახადი. აღნიშნული შემოსავლიდან იფარება: მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ხელფასები, კომუნალური და სხვა აუცილებელი გადასახადები. მნიშვნელოვანია სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები იყოს გამჭვირვალე და მარტივი, რათა მშობლებმა დაგვიანების გარეშე შეძლონ ანგარიშსწორება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მშობლებთან დადებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არეგულირებს სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის წესსა და პროცედურებს.

1. სწავლის საფასურის ოდენობა, მოქმედი შეღავათები და გადახდის წესი

1.1 სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება მშობლებთან დადებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მე-3 თავით, კერძოდ 3.1 პუნქტით შემდეგი პრინციპით:

პერიოდი	X - XII კლასი	I – IX კლასი
2025-2026 სასწ წ	3 700 ლარი	4 500 ლარი

1.1.1 სკოლაში ყველა ახალგაძმოსული მოსწავლისთვის სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება 4 500 ლარის ოდენობით.

1.1.2 საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების პუნქტი 3.1 არ ითვალისწინებს გახანგრძლივებული ჯგუფის გადასახადს. გახანგრძლივებული ჯგუფით სარგებლობა განიხილება როგორც დამატებითი მომსახურება, რის საფუძველზეც მშობლებთან იდება ცალკე ხელშეკრულება.

1.2 სწავლის გადასახადზე სკოლაში მოქმედებს შემდეგი სახის შეღავათები:



ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა - ბაღი

1.2.1 სწავლის სრულ გადასახადზე, სკოლაში მეორე შვილის სწავლის შემთხვევაში გათვალისწინებულია ფასდაკლება მეორე შვილის სწავლის საფასურის 25%-ის ოდენობით.

1.2.2 სწავლის სრულ გადასახადზე, სკოლაში მესამე და მომდევნო შვილის სწავლის შემთხვევაში გათვალისწინებულია ფასდაკლება მესამე და თითოეული მომდევნო შვილის სწავლის საფასურის 30%-ის ოდენობით.

1.2.3 1.2.1 და 1.2.2 პუნქტში აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება ბავშვების ასაკით და არა სკოლაში გადმოსვლის დროით/პერიოდით.

1.2.4 სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლის სკოლიდან გადასვლის (მობილობა ან/და სხვა საფუძველი) შემთხვევაში, წინამდებარე თავის 1.2.1, 1.2.2 ან/და 1.2.3 პუნქტ(ებ)ით გათვალისწინებული შეღავათი აღარ გავრცელდება გადასვლის მეორე დღიდან, შესაბამისად მშობელს წარმოეშვება სწავლის საფასურის სხვაობის სრულად გადახდის ვალდებულება.

1.2.5 პირველკლასელთა მიღებისას, თუ მომავალი პირველკლასელის დედმამიშვილს უფიქსირდება სწავლის დავალიანება, მოსწავლის პირველკლასში მიღება არ განიხილება.

1.2.6 სასწავლო წლის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში, სწავლის გადასახადის სრულად დაფარვის შემთხვევაში, მოქმედებს სასწავლო წლის სრულ გადასახადზე 5%-იანი შეღავათი.

1.2.7 სკოლის თანამშრომლ(ებ)ის შვილებისთვის, სწავლის გადასახადის ოდენობა განისაზღვრება სკოლაში დადგენილი სწავლის გადასახადის მინიმალური ტარიფის ნახევრის ოდენობით. აღნიშნული შეღავათით სარგებლობისთვის, გასული უნდა იყოს დასაქმებულის გამოსაცდელი პერიოდი.

1.3 სწავლების გადასახადის გადახდა შესაძლებელია შემდეგი პერიოდულობით:

I ეტაპად	სასწავლო წლის გადასახადი სრულად იფარება, სასწავლო წლის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.
II ეტაპად	სასწავლო წლის გადასახადის დაფარვა ხდება 2 ეტაპად:



ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა - ბაღი

	- პირველი ნახევრის გადახდა ხდება 1-ლი სემესტრის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. - მეორე ნახევრის გადახდა ხდება მე-2 სემესტრის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.
III ეტაპად	სასწავლო წლის გადასახადის დაფარვა ხდება 3 ეტაპად: - პირველი 1/3-ის გადახდა ხდება 1-ლი კვარტლის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. - მეორე 1/3-ის გადახდა ხდება მე-2 კვარტლის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. - მესამე 1/3-ის გადახდა ხდება მე-3 კვარტლის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.
ყოველთვიურად	სასწავლო წლის გადასახადის დაფარვა ხდება 10 ეტაპად (ყოველთვიურად) არაუგვიანეს შესაბამისი თვის 10 რიცხვისა.

1.4 მეტორმეტე კლასის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია სწავლის საფასური სრულად დაფაროს არაუგვიანეს სასწავლო წლის 15 ნოემბრისა ან სკოლას წერილობით მომართოს თანხის განსხვავებული გრაფიკით გადახდის თაობაზე.

1.5 სწავლის საფასურის გადახდისგან არ თავისუფლდება მოსწავლე, სკოლის გაცდენის (მათ შორის საპატიო მიზეზით), სასკოლო გაცვლით პროგრამებში (მათ შორის საზღვარგარეთ) მონაწილეობის პერიოდში.

1.6 მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში, შესაბამისი თვის 15 რიცხვამდე, მოსწავლის მიერ მობილობის ან/და სხვა საფუძვლით სკოლიდან წასვლის შემთხვევაში, სწავლის საფასური უნდა დაიფაროს (თვეებზე გადანაწილების შემთხვევაში) ერთი თვის თანხის სრული ოდენობით.

1.7 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოსწავლის მობილობის, სკოლიდან გარიცხვის ან/და წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს არ დაუბრუნოს მიმდინარე



სასწავლო წლისთვის წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური სრულად, არამედ მოსწავლის მიერ სკოლაში ფაქტობრივად გატარებული პერიოდის შესაბამისად.¹

1.8 სწავლის საფასურის გადახდა დასაშვებია მხოლოდ ეროვნული ფულის ერთეულით - ლარით, სკოლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

2. სწავლის გადასახადზე შეღავათის დაწესებასთან დაკავშირებით შეთანხმება

2.1 მშობელი უფლებამოსილია სკოლას მიმართოს სწავლის გადასახადზე შეღავათის დაწესებასთან დაკავშირებით.²

2.2 შეღავათის დაწესებასთან დაკავშირებით მშობელმა სკოლას, კერძოდ საქმეთა მმართველს უნდა მიმართოს წერილობით, წინამდებარე დოკუმენტის დანართი N1-ის ფორმით, არაუგვიანეს სასწავლო წლის დაწყებიდან 14 კალენდარული დღისა ან გადასახადის სრულად/ნაწილობრივ გადახდის შეუძლებლობის დადგომიდან 7 კალენდარული დღისა.

2.3 წარმოდგენილ მიმართვას განიხილავს გამგეობა, რომლიც გადაწყვეტილებას იღებს მშობლის მიერ მომართვიდან 2 კვირის ვადაში.

2.4 გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მშობელს წერილობით ინფორმაციას აწვდის საქმეთა მმართველი, გამგეობის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

3. გადასახადის/დავალიანების გადახდის განსხვავებულ გრაფიკზე შეთანხმება

¹ არდასაბრუნებელი თანხის ოდენობა დაანგარიშდება შემდეგი პრინციპით:
სწავლის სრული საფასური

წინასწარ გადახდილი თანხა - _____ X ფაქტიური თვეების რაოდენობა

10

² სკოლისთვის მნიშვნელოვანი და ძვირფასია თითოეული მოსწავლე, თუმცა ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეღავათების დაწესება შეზღუდულია. დახმარება გაეწევა იმ ოჯახებს, რომლებსაც ესაჭიროებათ განსაკუთრებული თანადგომა.



ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა - ბაღი

3.1 სწავლის გადასახადის/დავალიანების განსხვავებული გრაფიკით დაფარვა შესაძლებელია მხარეების ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.³

3.2 გადასახადის/დავალიანების გადახდის განსხვავებულ გრაფიკზე შესათანხმებლად მშობელმა წერილობით უნდა მომართოს სკოლას, კერძოდ საქმეთა მმართველს.

3.3 მომართვიდან 1 კვირის განმავლობაში ხდება მშობელთან სატელეფონო კონსულტაცია, პირადი შეხვედრის ორგანიზება, შესათანხმებელი გრაფიკის დაზუსტება და მისი დაფარვის წყაროების განხილვა.

3.4 3.3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საქმეთა მმართველი საკითხს განსახილველად წარუდგენს გამგეობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას.

3.5 შეთანხმებას გადახდის განსხვავებული გრაფიკის შესახებ ხელს აწერს საქმეთა მმართველი და მშობლები.

4. ვადაგადაცილებული გადასახადის მართვის წესი

4.1 ვადაგადაცილებულად ითვლება გადასახადი, რომელიც არ არის გადახდილი წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

4.2 ვადაგადაცილების დადგომის შემთხვევაში, საქმეთა მმართველი მშობელს უგზავნის წერილობით შეტყობინებას ელ. ფოსტაზე, რომელშიც მითითებულია ინფორმაცია დავალიანების და თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ. აღნიშნულ წერილთან ერთად მშობელს მოკლექტესტური შეტყობინება ეგზავნება ტელეფონზე.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ 4.2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების გაგზავნიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში არ მოხდება დავალიანების დაფარვა ან სკოლისთვის მომართვა გადახდის განსხვავებულ გრაფიკზე შესათანხმებლად, საქმეთა მმართველი

³ 1.3 პუნქტისგან განსხვავებულ გადახდის გრაფიკზე შეთანხმება წარმოადგენს სკოლის კეთილ ნებას და სურვილს ფინანსურად გვერდში ამოუდგეს მოსწავლის ოჯახს. შესაბამისად, გადასახადის გადახდა არ არის დამოკიდებული საპატიო/არასაპატიო გაცდენების რაოდენობაზე, პანდემიით შექმნილ თუ სხვა გარემოებაზე.



ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა - ბაღი

განმეორებით უგზავნის მშობელს შეტყობინებას ელ. ფოსტაზე და ტელეფონზე, ასევე შეხსენების მიზნით ახორციელებს სატელეფონო ზარს.

4.3.1 იმ შემთხვევაში, თუ არ დადასტურდა მშობლის მიერ 4.2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღება, საქმეთა მმართველი წერილს დამატებით გზავნის ფოსტით.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ 4.3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების გაგზავნიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ მოხდება დავალიანების დაფარვა საქმეთა მმართველი კვლავ უგზავნის მშობელს შეტყობინებას ელ. ფოსტაზე და ტელეფონზე და განუსაზღვრავს დავალიანების დასაფარად ვადას 15-30 კალენდარული დღის ოდენობით.

4.5 4.4 პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეს შეუწყვიტოს სტატუსი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

4.6 წინამდებარე თავით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემთხვევაში, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია გადაგადაცილებული თანხები გადასცეს სამართავად მესამე პირს.